



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

აბულაძე დიმიტრი ანტონის ძე

აბულაძე დიმიტრი ანტონის ძე (1861 – 1938), მეან-გინეკოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი.

1898 დაამთავრა კიევის უნ-ტის სამედ. ფაკ-ტი. კიევის სამედ. ინ-ტის მეანობა-გინეკოლოგიის კათედრის პროფესორი. ა-მ პირველმა უარყო თვალსაზრისი ეკლამფსიის კონტაგიოზურობის შესახებ და დაადგინა, რომ ეკლამფსიის პათოგენებში გადამწყვეტი მნიშვნელობა თირკმლების ფუნქციის დარღვევას ენიჭება (1901). განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა მის მიერ შემუშავებულმა საშვილოსნოს კედლებს მოცილებული მომყოლის გამოძევების გარეგანმა მეთოდმა (1907), რ-საც აბულაძის ხერხი ეწოდება.

თბზ.: К технике выведения последа, «Журнал акушерства и женских болезней», 1907, т. 21, № 9.
